


რუსეთის მიერ ქართველების
გენოციდი
1992-1993 წლებში

ბურაგზე იყო უფხუფეთი

24-26 მაისი KHIDI



LIBERTY INSTITUTE
თავისუფლების
ინსტიტუტი



ევროპული
საპარტიველო

VOTER
EDUCATION
SOCIETY



ამერიკელთა
მანძილში
საერთაშორისო

აფხაზეთა
კრება

პროექტის მხარდამჭერი 

ბურჯა 2022



სოხუმი 1993

ბურია, აფხაზეთი და რუსული გენოციდი

ანი კახიძე

თინა ნიკოლეიშვილი

3 ირველ აპრილს, მას შემდეგ, რაც ქალაქი ბურია რუსი ოკუპანტებისგან გათავისუფლდა, უკრაინელმა სამხედროებმა ასობით დახოცილი მოქალაქე იპოვეს. ფოტო და ვიდეო მტკიცებულებების მიხედვით, მათი უმრავლესობა წამებით მოკლეს. ასევე, დასტურდება ბავშვებისა და ქალების გაუპატიურების ფაქტები. მალევე, უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ რუსი ოკუპანტების მოქმედებები ბურიაში გენოციდად შეაფასა, რაც აშშ-ს პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა, კანადის პრემიერმინისტრმა, ჯასტინ ტრუდომ და პოლონეთის პრემიერმინისტრმა, მატეუშ მორავიეცკიმ გაიზიარეს. მოგვიანებით, უკრაინის, კანადის, ჩეხეთისა და ესტონეთის საკანონმდებლო ორგანოებმა ბურიაში რუსი ოკუპანტების მიერ უკრაინელი მოსახლეობის მიზანმიმართული ხოცვა-ჟლეტვა გენოციდად აღიარეს.

დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი, ბორის ჯონსონი სიტყვა “გენოციდის” გამოყენებას მოერიდა, თუმცა აღნიშნა, რომ უკრაინაში პუტინის მოქმედებები გენოციდისგან შორს არ არის. ხოლო მაკრონმა, გენოციდის დადგენის საკითხი იურისტებს მიანდო.

რუსეთის სასტიკმა და არაადამიანურმა მოქმედებებმა საერთაშორისო სივრცეში გენოციდთან დაკავშირებული პასუხგაუცემელი კითხვები დააბრუნა - აღნიშნული საკითხი საქართველოს კიდევ უფრო მეტად ეხმიანება, ვინაიდან საერთო მტერი დღეს უკრაინაში ისტორიის იმ ხაზს აგრძელებს, რომელიც აფხაზეთში 30 წლის წინ დაიწყო.

ვოლოდიმირ ზელენსკიმ 9 მაისის მიმართვაში აღნიშნა, რომ სამყარომ ბოროტების ხელახალი დაბადება ვერ შეამჩნია. თუმცა აშკარაა, რომ საქმე ვერშემჩნევის ნაცვლად, განზრახ თავის არიდებასთან გვაქვს. უკრაინის ომმა დასავლეთს კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ტირანიასთან ბრძოლაში დამოშინების პოლიტიკა არასოდეს გაამართლებს.



რა არის გენოციდი?

სიტყვა გენოციდი პირველად 1944 წელს პოლონელმა ებრაელმა იურისტმა და აქტივისტმა რაფაელ ლემკინმა გამოიყენა. ლემკინი, რომელიც ჯერ უკრაინის ქალაქ ლვოვში, შემდეგ - პოლონეთში სწავლობდა, ახალი ტერმინით ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის წინააღმდეგ მათი განადგურების მოტივით ჩადენილ დანაშაულს ახასიათებდა.

მას შემდეგ, რაც მისი ოჯახის ყველა წევრი, გარდა ძმისა, ჰოლოკოსტს ემსხვერპლა, აქტივისტმა იურისტმა კამპანია წამოიწყო, რათა გენოციდი საერთაშორისო სამართლით დასჯადი გამხდარიყო. საბოლოოდ, მისმა დაუღალავმა მცდელობამ შედეგი გამოიღო და გაერომ 1948 წლის დეკემბერს გენოციდის შესახებ კონვენცია მიიღო.

გაეროს განმარტების მიხედვით, გენოციდი აღწერს ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად, ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიტყვა “მიზნით“, რადგან წინასწარი განზრახვა არის ის მთავარი ნიშანი, რაც გენოციდს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი სხვა დანაშაულებისგან ასხვავებს. მეტიც, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათ შორის გაეროსთვის, კონკრეტული დანაშაულის გენოციდად აღიარების მთავარი სირთულე იმის დამტკიცებაა, რომ ქმედების უკან კონკრეტული ჯგუფის განადგურების განზრახვა ჩანს.

ამ სირთულეების გამო, კონვენციის მიხედვით, გენოციდად მხოლოდ სამი შემთხვევაა აღიარებული. და ამ უკანასკნელში არ შედის რუსეთის მიერ ჩადენილი არცერთი ომის დანაშაული.

მართალია, გაეროს რუსეთის დანაშაულები ჯერ გენოციდად არ შეუფასებია, თუმცა, მკლევართა და ისტორიკოსთა დიდი ნაწილი რუსეთს მასობრივ ხოცვა-ჟლეტვაში ადანაშაულებს და რეჟიმის ბოროტების სპეციფიკურ ბუნებაზე საუბრობს.

“სოხუმის ადგილობრივი მცხოვრები ადასტურებს, რომ მას ქუჩებიდან გვამების აკრება დაევალა, შედეგად - 4 კამაზი 250-მდე ცხედრით გაავსო”.



ბურჰაბაჟე იყო აფხაზეთი

რუსეთის გენოციდის სახელმძღვანელო

ამერიკელი ისტორიკოსი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მკვლევარი, ტიმოთი სიდერი სტატიას “რუსეთის გენოციდის სახელმძღვანელოს” სწორედ ბუჩის ამბების პარალელურად წერს.

ავტორის განმარტებით, “დენაციფიკაცია” რუსეთის მიერ უკრაინის სახელმწიფოსა და ერის განადგურებას ნიშნავს.

სიდერი აღნიშნავს, რომ პუტინის რეჟიმი “ნაციისტებზე” საუბრობს არა იმიტომ, რომ ის მართლაც ულტრამემარჯვენეებს ეწინააღმდეგება, არამედ სწორედ ამ რიტორიკული ხერხის გამოყენებით არაპროვოცირებული ომისა და გენოციდური პოლიტიკის გამართლებას ცდილობს.

ეს ხელწერა საქართველოსთვის უცხო არ არის, რუსეთი აფხაზეთის ომის დროსაც მსგავსი სტრატეგიით მოქმედებდა: “ეჭვგარეშეა, რომ დღეს საქართველოს ოფიციალური იდეოლოგია და სისტემა ფაშისტურია. და დღეს, იქ ფაშისტური სისტემა მტრის ხატის - როგორც შინაგანი, ისე გარეგანი, გარეშე უბრალოდ ვერ იარსებებს”. - ვკითხულობთ აფხაზი პოლიტიკოსის, ზურაბ აჩბას განცხადებაში.

რუსეთის ნაციზმთან “დაპირისპირებით” მივდივართ ერთგვარ პარადოქსამდე - ამ აბსურდული განმარტებით, თავად რუსეთი ფაშიზმის ელემენტს კარგავს. სწორედ ესაა რეჟიმის მიზანიც: სხვაზე “ნაციზმის” დაბრალდებით, ცხადად ფაშისტური მოქმედებები - სვასტიკის მსგავსი სიმბოლოების გამოყენება, პროვოკაციების სერია, ეთნიკური წმენდა, აგრესიული ომები, ელიტის გატაცება-განადგურება, მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა, - კონტრაფაშისტური ხდება. რუსეთი ტერმინის ამგვარი დამახინჯებით ცდილობს, რომ ისტორიის სწორ მხარეს დადგეს.

შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ რუსული სისტემა ჯორჯ ორუელის წესებს იყენებს და მიზნის მიღწევას სიტყვების შინაარსისაგან დაცლითა და საპირისპირო მნიშვნელობების მიწვევებით ცდილობს. კერძოდ, “1984-ში” თუ “სიყვარულის სამინისტრო” ხალხის მტრებს აწამებს, იმავე ლოგიკით - ოკუპანტები, დენაციფიკაციის სახელით, დახოცილ ებრაელთა მემორიალს ბომბავენ.

როცა ვიცით, რომ რუსეთის მთავარი იარაღი ისტორიული ნარატივების დამახინჯება და სიტყვებით თამაშია, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საკუთარი ისტორიისა და უახლოესი წარსულის სიყალბისგან დაცვა.

საერთაშორისო სივრცე, რუსეთი, აფხაზეთი, ქართველები

1993

წ. 1 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც პირველად დაადანაშაულა რუსეთი აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკის ხელშეწყობაში. შესაბამისი მიმართვა გაეგზავნა გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელშიც რუსეთის ქმედებები შეფასდა როგორც აგრესია, რომელიც მიზნად საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის დარღვევასა და მისი დამოუკიდებლობის ხელყოფას ისახავდა.

1992-1993 წლის აფხაზეთის ომის გამო დაახლოებით 200-250 ათასამდე ქართველი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად იქცა. ქართველების მიზანმიმართული ხოცვა და დევნა უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ 1994, 1996 და 1999 წლის კონვენციებში აღიარა, როგორც ეთნიკური წმენდა, თუმცა ეუთომ ტერმინი გენოციდის გამოყენებისგან თავი შეიკავა.

ეუთომ პირველ ეტაპზე აფხაზეთში ეთნიკური წმენდის მიზნით ჩადენილი დანაშაულები დაგმო და აღნიშნა, რომ ბუდაპეშტის სამიტზე მონაწილე სახელმწიფოები, საჭიროების შემთხვევაში, ჰააგას საგამოძიებო ტრიბუნალს მხარს დაუჭერდნენ. თუმცა, უკვე 1996 წლისთვის ლისაბონის შეხვედრაზე ეუთომ დამატებით ტერმინი - “მასობრივი განადგურება” გამოიყენა, რაც აფხაზეთის ომში ქართველთა გენოციდზე პირდაპირ მინიშნებად შეგვიძლია აღვიქვათ.

“ჩვენ [ეუთოს წევრი სახელმწიფოები] ვგმობთ ეთნიკურ წმენდას - რომელიც აფხაზეთში ძირითადად ქართველი მოსახლეობის მასობრივ განადგურებასა და იძულებით გადასახლებაში გამოიხატება”. - ვკითხულობთ 1996 წლის ლისაბონის კონვენციაში.

3 წლის შემდეგ, სტამბოლის სამიტზე ბუდაპეშტისა და ლისაბონის კონვენციების დამონშებით, ქვეყნებმა განმარტებაში ცვლილებები შეიტანეს და აღნიშნეს, რომ ომის დანაშაულების გამოსაძიებლად, სახელმწიფო კომისიის გარდა, საერთაშორისო დელეგაციის შექმნა იყო საჭირო. სამწუხაროდ, საერთაშორისო საგამოძიებო კომისია არასდროს შექმნილა.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ხდება დანაშაულის ეთნიკურ წმენდად აღიარება და არა გენოციდად არის ის, რომ ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებული საერთაშორისო

**ბურბუღე იყო
აფხაზეთი**

*“რომ ჩამოვედი, მერე მეხსიერება დამეკარგა.
ჩამოვედი, იმხელა სტრესი მქონდა, იქ გზაში,
ყველაფერი... ხო, აქ რო ჩამოვედი, არაფერი არ
მახსოვდა. პირველად რო ჩამოვედი, აი, ასე ვიჯექი,
სულელივით ტელევიზორთან და ველოდებოდი,
ეს მახსოვს, როცა დაგვაბრუნებენ სახლში, რომ
დაგვაბრუნონ სახლში, და ვუყურებდი, აი, დღეს
არა, ხვალ, ხვალ, ხვალ დაგვაბრუნებენ. აი, ეს
აზრი მქონდა მარტო.”*

აფხაზეთი, 1993



დოკუმენტი არ არსებობს, შესაბამისად, მას არ მოჰყვება სამართლებრივი შედეგები. ეთნიკური წმენდა კონკრეტული ჯგუფის იძულებით გადაადგილებას გულისხმობს, მაგრამ არ არსებობს ხელშეკრულება, რომელიც მის ზუსტ პარამეტრებს განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ ზღვარი ამ ორ დანაშაულს შორის ბუნდოვანია, ეთნიკური წმენდა შიდა და სამართლებრივ მოქმედებას არ საჭიროებს, რის გამოც, ის უფრო მეტად მოქმედებისკენ მოწოდების შინაარსს ატარებს, თუმცა, რეალურად, პოლიტიკურად ნაკლებად დატვირთულია.

1999 წელს საქართველოს სახელმწიფო კომისიამ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა და გენოციდის დასკვნა გამოაქვეყნა, რასაც თან 25 000-ზე მეტი პირის ჩვენებებიდან ნაწყვეტები დაურთო. დასკვნაში ვკითხულობთ:

“გენოციდი აფხაზეთში ჩაფიქრებული იყო და ხორციელდებოდა ეტაპობრივად - 1992 წლის 14 აგვისტოდან - 2 ოქტომბრამდე გუდაუთის ზონაში, იმავე წლის 2 ოქტომბრიდან 1993 წლის 15 სექტემბრამდე გაგრაში, ხოლო 1993 წლის 16 სექტემბრიდან სოხუმის, ოჩამჩირის, გალის რაიონებსა და ქალაქ ტყვარჩელში”.

ასევე, თვითმხილველების ჩვენებებით, კონფლიქტის დაწყებიდან პირველსავე დღეებში ეშერიდან, ლიხნიდან, არადუდან, ახალსოფლიდან გააძევეს 5000 კაცი, 70 წლის ინდიკო გრძელიძეს საჯაროდ ამოგლიჯეს გული, ხალხის თვალწინ ცულით დაჩეხეს ელგუჯა მაისურაძე, ხოლო 65 წლის ნიკოლოზ ქვაბზიანიძე ტრაქტორს გამობმული ათრიეს და სიცოცხლე მოუსწრაფეს.

ირკვევა ისიც, რომ აფხაზთა რაზმები რუსეთთან ერთად, შობადობის შეწყვეტისთვის გათვლილ ზომებს იღებდნენ. კერძოდ, მოწმე ოთარ გობეჯიშვილის ჩვენებაში ვკითხულობთ: “გაგრის ადების მეორე დღეს დაიწყო ხალხის მასიური ხოცვა-ჟლეტა. არ დაინდეს ორსული ქალებიც კი, რომლებსაც მუცლებს უფატრავდნენ და იქიდან ამოღებულ ნაყოფებს ფეხით თელავდნენ”.

სახელმწიფო კომისია წერს, რომ ქართველთა გენოციდის სისხლის სამართლის საქმის ასეულობით ტომში გენოციდის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა დანაშაულების მტკიცებულებებია წარმოდგენილი, ასევე ორგანიზატორებს შორის 20-ზე მეტი, ხოლო უშუალო აღმასრულებლებს შორის 800 დამნაშავე ინდენტიფიცირებული. თუმცა, დღემდე, არცერთი მათგანი სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიცემულა.


იმის გამო, რომ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, თუ რამდენი ქალი და ბავშვი დაიხოცა აფხაზეთის ომში, გადავწყვიტეთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ გასაჯაროებული სიების მიხედვით დაგვეთვალა მონაცემები. აქვე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინფორმაცია ნაკლებია - დახოცილთა დიდ ნაწილს არ აქვს ასაკი მითითებული, ზოგიერთი მათგანის მხოლოდ გვარია ცნობილი, შესაბამისად, დიდი ალბათობით იმაზე მეტი ბავშვია დახოცილი, ვიდრე ჩვენს სტატისტიკაშია ასახული.



სიეზზე დაყრდნობით, სულ 3300-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, აქედან 800-მდე ქალი და 50-ზე მეტი ბავშვი. უზოუკვლოდ დაკარგულად 300-მდე ადამიანი ითვლება, მათგან 20-ზე მეტი - ქალი და 10-ზე მეტი - ბავშვია.

სახელმწიფოკომისიადასკვნიტანნილშიწერს,რომშეგროვებულიმტკიცებულებების საფუძველზე, მასალები ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალისთვის უნდა გადაეცათ, მაგრამ საქართველოს მთავრობას სარჩელი ჰააგაში არც ამის შემდეგ შეუტანია.

მიუხედავად ამისა, 1994, 1996 და 1999 წლის კონფერენციებზე ეუთოს მიერ მსჯელობის ხაზის განვითარება და რუსეთის დანაშაულის წინააღმდეგ რიტორიკის გამკაცრება იმის მანიშნებელია, რომ არსებობს შანსი - საქართველოს მყარი პოზიციის არსებობის შემთხვევაში, ორგანიზაციამ საკუთარ გადანყვეტილებას გადახედოს და ეთნიკურ წმენდასა და გენოციდს შორის დატოვებული ხელოვნური სივრცე შეავსოს.



**აფხაზეთის ტრაგედიის თვითმხილველი
რუსი ჟურნალისტი მიხეილ აიდიონოვი
ერთ-ერთ თავის წერილში წერს:**

**“ახალდაბაში ბავშვებს ხელები და
ფეხები გადაუმტვრიეს, სარებზე დასვეს,
ერთ ბავშვს ტანკით გადაუარეს. ბავშვი
გაატყავეს და ხორცზე წაანერეს:**

**“ქართული ძაღლი
იყიდება კუპონზე“**

აფხაზეთი, 1993

“აფრენისას
პილოტი გვეუბნება,
რომ ძალიან
გადატვირთულია
თვითმფრინავი და
შეიძლება წყალში
გადავვარდეთ,
მაგრამ არავინ
არ ჩამოდის,
რადგან აზრი არ
აქვს, თუ დარჩები
- მოკვდები, აქ
კიდევ შეიძლება
გადარჩე”
სოხუმი, 1993.



**ბურაბაძე იყო
აფხაზეთი**

ბუნის გაკვეთილი

საქართველოსგან განსხვავებით, ზელენსკიმ თავისი მკაცრი რიტორიკის შედეგად მოახერხა ის, რომ დასავლელი ლიდერების დიდმა ნაწილმა უგულებელყო იურიდიულ ტერმინთა დამაბნეველი თავსატეხი და რუსეთის დანაშაულის მხილებაში უკრაინას შეუერთდა.

გაერო და ეუთო აღიარებს თუ არა აფხაზეთის ომში ქართველების წინააღმდეგ მიმართულ სისასტიკეს გენოციდად, მნიშვნელოვანია. თუმცა, ამაზე მნიშვნელოვანია ის, თუ რა პოზიცია ექნებათ საქართველოს პარტნიორ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე.

გენოციდის საერთაშორისო განმარტება ერთგვარ პირამიდას ჰგავს, რომლის წვერშიც ჰოლოკოსტი თავსდება, როგორც კაცობრიობის უდიდესი დანაშაული და სისასტიკის საზომი. დიდია ალბათობა იმისა, რომ უკრაინის ომის ერთ-ერთი შედეგი აღნიშნული დანაშაულების იერარქიის გადახედვა იყოს - ქმედების სისასტიკის განსაზღვრისას არა რომელიმე კონკრეტული შემთხვევა, არამედ ზოგადი პრინციპს უნდა წარმოვიდგენდეთ, რომელიც გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე აღარ იქნება დამოკიდებული.

უკრაინას ესმის, რომ რუსეთის აგრესიის გენოციდად კლასიფიცირება ახლა იმაზე მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე, რადგან ეჭვს არ ბადებს ის, რომ ქვეყნების საერთაშორისო განწყობები მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში აისახება. ჩვენი ომი, რომელიც 30 წელია მიმდინარეობს, ამ პოლიტიკის ნაწილია - ახლა ისე, როგორც არასდროს, უნდა ვისაუბროთ ქალებზე, რომლებსაც ახალდაბაში აუპატიურებდნენ, ბავშვებზე, რომლებსაც ყებში ახრჩობდნენ, მშობლებზე, რომლებსაც საკუთარი შვილების ორგანოების ქამას აიძულებდნენ.

დღეს რუსეთი ტერიტორიების მიტაცებისთვის ბრძოლას, მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვასა და ჟლეტვას უკრაინაში აგრძელებს. იცვლება თავდასხმის ობიექტი, თუმცა არა - სცენარი. მინოტავრი, რომელიც თავს ისტორიული ლაბირინთებით იცავს, მანამ არ შეწყვეტს ხარკის მოთხოვნას, სანამ მას თავს საბოლოოდ არ წავაცლით. რუსეთს არა მხოლოდ უკრაინა ან საქართველო, არამედ მთელი დასავლური სამყარო უნდა შეერკინოს. ბოროტების დასამარცხებლად მნიშვნელოვანია მყარი პოზიცია, რათა ბოროტებას შესაბამისი სახელის დაერქვას: ამ ომში არიადნეს ძაფი საკუთარი ისტორიული ნარატივის დაცვა და მასში პარტნიორი ქვეყნების დარწმუნებაა.



1992 წლის სექტემბერში სოფელ ბზიფში მოკლული გიორგი აბრამიშვილის ხორცის ნაჭრები ჯერ დაამარილეს, მერე მისსავე ფეხსაცმელში ჩაალაგეს და მეუღლეს გაუგზავნეს.

“1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმში აწამეს და დახვრიტეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვიული შარტავა, ქალაქის მერი გ. გაბისკირია, პოლიციის უფროსი რაფავა, გაგრის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე მიხეილ ჯინჭარაძე და სხვები.

გაგრის საკურორტო სამმართველოს უფროსის ალექსანდრე ბარამიას, რომელსაც ოჯახში სტუმრები ჰყავდა თავს დაესხნენ აფხაზი და ჩეჩენი “ბოევიკები” მის გარდა ამ დროს სახლში იყვნენ: მეუღლე, შვილი და სტუმრები. ბარამიას ქალიშვილი ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ თავი მოჰკვეთეს, მეუღლესაც მოჰკვეთეს თავი წამების შემდეგ. ბოლოს კი ალექსანდრე და მასთან ერთად მყოფი სტუმრებიც დახვრიტეს.

მოკლეს 30-ზე მეტი მედიცინის მუშაკი, ძირითადად ქალები.

აფხაზეთის ომში დახოცეს ასზე მეტი ქართველი ხელოვნების მუშაკი, მათ შორის ქალები. წამებით მოკლეს 37 წლის ნატო მილორავა, დრამატული თეატრის მსახიობები ვასილ ჩხეიძე, თეიმურაზ ჟვანია, გურამ გელოვანი და სხვები.

სეპარატისტებმა დახვრიტეს 200-ზე მეტი მასწავლებელი, მათ შორის 60-ზე მეტი ქალი: ვენერა სიგუა, იულია გოგობია-ჭითანავა, ცაცა დანდავა, ეკა ფილფანი, ლია აქუბარდია, დაბული ფაჩულია და სხვები. 65 წლის მასწავლებელი ვასილ სამხარაძე ქუჩაში შეიპყრეს და საჯაროდ თავი მოკვეთეს. ჭირისუფლებს დამარხვის საშუალება არ მისცეს, რის გამოც ქუჩაში უპატრონოდ დაგდებული მიცვალებული ძაღლებმა და ღორებმა წაბილწეს. რაც შეეხება გიორგი ფიფიას, მას ჯერ ყურები მოაჭრეს, შემდეგ ცხვირი და ასე გამოასალმეს სიცოცხლეს.

ბურაგლე იყო აფხაზეთი

ამონარიდები 1999 წლის საქართველოს სახელმწიფო კომისიის აფხაზეთის გენოციდის შესახებ დასკვნიდან

5 ოქტომბერს დაბა-ლესელიძეში ანამეს და ელექტრონის ბოძებზე ჩამოახრჩვეს 50-მდე ქართველი.

თინა ბარკალაიას ჩვენებიდან:

“აფხაზებმა თვალწინ მომიკლეს ბიძაშვილი, ლიდავაში მცხოვრები ცეზარ ქველიძე, რომელსაც ჯერ ცხვირი მოაჭრეს, შემდეგ ყური და ერთი ფეხი მუხლის ქვემოთ, შემდეგ კი დახვრიტეს. ასეთივე წამებით მოკლეს 70 წლის ანდრო სიმონიშვილი”.

მთელი დამე მუხლებამდე წყალში ჰყავდათ ჩაყენებული შიშველი შოთა მგელაძე, რომელსაც ერთ-ერთა ჩეჩენმა “ბოევიკმა” დანით გადაუჭრა მარცხენა ხელი, მისი სისხლით წიქა აავსო და მსხვერპლს შესთავაზა დაეღია, როდესაც პასუხად უარი მიიღო ცინიკურად მოუბოდიშა და უთხრა: “რა ვქნა ძმაო, არ გეწყინოს, მე შენს სისხლს კი არა, ყველა ქართველის სისხლს ვსვამო” და თან დაემუქრა, თუ აფხაზეთის ტერიტორიას ქართველები არ დატოვებენ, ყველას სიკვდილი მოეღოს”.

სოხუმში ორი ადამიანი საკუთარ სახლშივე დახოცეს, შემდეგ ორივე მკლავებზე და ფეხებზე ხორცი მოკვეთეს და იატაკზე დაყარეს. ერთ-ერთის მეუღლის კითხვაზე - თუ რატომ სწადიან ამას. სეპარატისტებმა უპასუხეს, ყველა ქართველს ეს დღე მოგვლით, თუ არ დატოვებთ აფხაზეთის ტერიტორიას.

თვითმხილველი მოწმე ხარაიშვილის ჩვენებით ქ. გაგრაში ქართველთა წამებისას, სეპარატისტები სახალხოდ ყვიროდნენ გაგრა-ლესელიძის ზონაში ყველა ქართველის გაჟლეტის, ქართული წიგნების, კულტურის ძეგლებისა და ქართველთა სახლების გადანჯის შესახებ. სიკვდილით ემუქრებოდნენ ყველას, ვინც ქართველებს დაეხმარებოდა. **ჰყვებიან, რომ ქალაქის ქუჩები ქართველთა ცხედრებით იყო მოფენილი, მარტო ნ. კურჩენკოს პარკში 400 ადამიანი დაუხოცავთ. მიცვალებულთა ცხედრები ზღვაშიც ეყარა. რთული აღმოჩნდა მათი, აგრეთვე იმ პირთა ვინაობის დადგენა, ვინც ოკუპაციის დასრულების შემდეგ აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში დაიღუპა ოკუპანტებისა და სეპარატისტების ხელიდან.**

ადგილობრივი მცხოვრები ადასტურებს, რომ მას დაევალა ქუჩებიდან გვამების აკრება, შედეგად - **გაავსო 4 კამაზი 250-მდე ცხედრით.**

რაც ვნახეთ ბუჩაში, 30 წლის წინ მოხდა ახალდაბაში - აფხაზეთის ომის საზარელი დანაშაულები

ანა

გვარიშვილი

უკვე სამი თვეა მსოფლიო შეძრა და გააოგნა ბოროტების იმ მასშტაბმა, რასაც რუსეთი მეზობელ უკრაინაში სჩადის. სამი თვეა, ვუყურებთ მოკლულ და გაუპატიურებულ ბავშვებს, კბილებდაგლეჯილ ქალებს, აალებულ სახლებს, აფეთქებულ საავადმყოფოებს, სკოლებს, ბალებს. ვუყურებთ, რა დაუფარავი სისასტიკით უსწორდებიან რუსი ჯარისკაცები უკრაინელ მშვიდობიან მოქალაქეებს, მხოლოდ იმის გამო, რომ უკრაინელები არიან. გვაძრწუნებს, რაც მოხდა ბუჩასა და მარიუპოლში, რაც ხდება ხერსონში.


თუმცა, უკრაინამდე იყო აფხაზეთის ომი. და ბუჩამდე იყო ახალდაბა, სამურზაყანოს დაბლობზე გაშენებული სოფელი, რომელთა მცხოვრებლებიც ერთი ძველი ტანკითა და მტრისთვის ომშივე წართმეული იარაღით ხუთი დღის განმავლობაში იცავდნენ სოფელს. მეხუთე დღეს სოფელი დაეცა.

„რაც მერე იქ მოხდა, მტერს არ ვუსურვებ“ - მეუბნება ნუცა გიორბელიძე-დარსალია, 86 წლის დევნილი ახალდაბიდან, რომლის სახლსაც ის ქალები აფარებდნენ თავს, რომლებმაც დავრდომილი დედის, შვილისა, თუ სხვა მიზეზების გამო გაქცევა ვერ მოახერხეს - „ეს იყო საშინელება. საშინელება. ყველაფერი, რაც ხდება უკრაინაში, უკვე გავიარეთ ახალდაბაში“.

ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში, დაახლოებით, 2 200 ადამიანი ცხოვრობდა. მოსახლეობა ძირითადად 1939 წელს ლეჩხუმიდან, რაჭიდან და სამეგრელოდან იყო ჩასახლებული. ერთ დროს ბედნიერად და კეთილმეზობლურად მცხოვრები სოფელი ომის დანაშაულების პოლიგონად იქცა. ყვავილებით მორთული ქუჩები და ეზოები ადგილზე დახვრეტილი ადამიანების გახრწნილი ნეშტებით გაივსო, ქები კი გვამებით. ვინც ცოცხალი გადარჩა, ოკუპანტებმა მეზობელ სოფელში ტყვედ წაასხეს. ტყვედ ჩავარდნილ ქალებსა და ბავშვებს სისტემატურად აუპატიურებდნენ.

„მეზობლის ქალი გამოვიდა მეორე უბნიდან, ანეტა ყურაშვილი და მითხრა, ჭა დაშრაო“ - ჰყვება ნუცა გიორბელიძე - „კი არ დაშრა, ხალხი იყო შიგნით ჩაყრილი. 28 მეტრი იყო თითო, შეუძლებელი იყო, დამშრალიყო“.

**ბუჩაში იყო
აფხაზეთი**



მდინარე კოდორის მარცხენა მხარეს გაშენებული სოფელი, რომელსაც ერთი მხრიდან ეთნიკურად აფხაზებით დასახლებული აძიუბუა ესაზღვრებოდა, ხოლო მეორე მხარეს ეთნიკურად სომხებით დასახლებული ათარა აფხაზკაია, სოხუმის აეროპორტთან სიახლოვის გამო სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილი იყო. სწორედ ამიტომ, როდესაც 1992 წლის 27 დეკემბერს სოფლის მიმართულებით პირველი შეტევები დაიწყო, ახალდაბაში მცხოვრები ყველა კაცი, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, 23-ე ბრიგადაში ჩაენერა, ამბობს სასოფლო საბჭოს მდივანი, ჯამბულ მიგინეიშვილი. სოფელში შეიქმნა მე-5 ბატალიონი, რომელიც საერთო ჯამში 408 ადამიანს მოიცავდა. თითქმის 100-კაციან ჯგუფებად დაყოფილები მონაცვლეობით იცავდნენ სოფლის შემოგარენს, ერთი საჩუქრად მიღებული ძველი ტანკით, რომელსაც „მთა“ ერქვა.

„ჩემი მეუღლე, ალექსანდრე ცალანი მათემატიკის პედაგოგი იყო ჩემსავით. თვეების განმავლობაში ის ყოველ ღამით იცავდა სოფლის საზღვარს. დილით მოვიდოდა სახლში, პირს გაიპარსავდა, სუფთად ჩაიცვამდა და მივდიოდით სკოლაში“ - გვიყვება ვენერა მეშველიანი, კიდეც ერთი დევნილი ახალდაბიდან, რომელსაც სოფელ ათარაში ტყვეთა ბანაკში ყოფნის უმძიმესი დღეები აქვს გამოვლილი - “ომის განმავლობაში სკოლაში არცერთი დღე არ გავიცდენია არც ჩვენ და არც ბავშვებს. თუკი სროლებით გაუსაძლისი



ვენერა მეშველიანი, დევნილი ახალდაბიდან

ხმაური შეიქნებოდა, ცოტა ხნით მოსწავლეები ეზოში გაგვყავდა და მერე ისევ უკან ვბრუნდებოდით“.

ივლისში მხარეებს შორის ზავი დაიდო და სოფლის მცხოვრებლებმა იარაღი ჩააბარეს.

თუმცა, საუკეთესო რუსულ ტრადიციებში 15 სექტემბერს, დილით ყველასთვის მოულოდნელად სოფელზე შეტევა განახლდა.

„დილით, დაახლოებით, 4-5 საათზე გრადების ხმამ გაგვადვიდა და კინთხის მხარეზე ცა იწვოდა. გამოვარდა ალექსი და მაშინ ითქვა და რად უნდოდა თქმა, რომ ომი განახლდა. ალექსი ისევ წავიდა საზღვრის დასაცავად და 3 დღე აღარ მინახავს“ - იხსენებს ვენერა მეშველიანი და თვალები ცრემლით ევსება. ახსენდება, რომ ქმართან შემდგომი შეხვედრა მათი ბოლო შეხვედრა იყო.

სოფლის ქალები და ის კაცები, ვისაც ბრძოლა არ შეეძლო, ძირითადად, რამდენიმე სახლში იყვნენ გადანანილებულები, რომლებიც სხვებზე მეტად



დაცულად ჩანდა. ერთ-ერთ ასეთ თავშესაფარს აფარებდა თავს ვენერა მეშველიანი თავის შვილთან, ირმასთან და ქალ ძმისშვილებთან ერთად. მეორე შვილი, მერაბი კი მამასთან ერთად საზღვარს იცავდა.

„მესამე ღამეს კანაოში ვინეჯით, იმიტომ, რომ გაგვაფრთხილეს, შენობა შეიძლება, დაბომბონ ამაღამო. კანაოში წყალი ჩამოდიოდა, სიბინძურე იყო და იქ ვიყავით დამალულ-ჩამალულები“.

როგორც ვენერა მეშველიანი ჰყვება, იქ მყოფმა ახალგაზრდა ქალებმა, მათ შორის მისმა შვილებმაც ველარ გაძლეს იქ და შეუთანხმდნენ, რომ სახლში გადავიდოდნენ, იბანავებდნენ და უკან დაბრუნდებოდნენ ცენტრში. მოგვიანებით სახლისკენ ვენერაც წავიდა. მის სახლში მეზობლის ქალები მეომრებისთვის საჭმელს ამზადებდნენ, მისი შვილი ირმა კი ბანაობდა.

„ამ დროს დაიწყო დაბომბვა. ერთბაშად წამოვიდა ძალიან ბევრი. ირმას ვუთხარი, არიქა, ჩქარა ჩაიცვი, უნდა დავიმალოთ-მეთქი და ხოხვით გავედით აბანოდან წინა ოთახამდე, სადაც სარდაფი გვექონდა გაკეთებული. ჩავედით იქ. ფანჯრებიდან ოთახში ტყვიები ცვიოდა. ხოხვით მოვიდნენ მეზობლის ქალებიც და ვსხედვართ იქ, მაგრამ ისეთი ხმაურია გარეთ, სეტყვასავით ისმის ტყვიებისა და გრადების ხმა. ერთი გრადი დაეცა სახლის უკანა კუთხეს. ეს რომ ვიგრძენით, ჩემმა გოგომ მითხრა, დედა, ავიდეთ აქედან, თორემ ჩავიფერფლებითო. სახლი დაინვება და ჩვენ ვერავინ ვერ გვნახავს აქო. ის ისე მქონდა მოწყობილი, რომ ვერავინ ვერ გვნახავდა ჩვენ, რომც მოვეძებნეთ. ამოჰყვა კიბეებს და მე ფეხებში ვებლაუჭებოდი, არ წახვიდე, ირმა, მოგკლავენ-მეთქი. არ დამიჯერა. ამოვედით. ამოგვყვა ყველა ეს ქალი. ირმას შუბლთან გაუარა ტყვიამ, ჩოლკა მოენვა. მილიმეტრებით რომ აცდენილიყო, თავს გაუხვრეტდა“.

ვენერა მეშველიანი და სხვა ქალები ფეხშიშველები, ხოხვით მივიდნენ ისევ თავშესაფრამდე, სადაც დაახლოებით 30-40 ადამიანი იყო შეკრებილი, მათ შორის ქალები, მოზარდები, ჩვილი ბავშვები.

სახლის მეპატრონემ თეთრი ზენარი აიტანა სახლის სახურავზე ნიშნად იმისა, რომ იქ მეომრები არ იყვნენ და ვინც იყო, ის სიცოცხლის ფასად ნებდებოდა მტერს.

„არაფერმა არ გვიშველა“ - გვეუბნება ვენერა მეშველიანი და მორიგი მძიმე ისტორიის მოსაყოლად ემზადება.

მეორე თავშესაფარი სოფლისთვის დარსალიების სახლი იყო. ნუცა გიორბელიძე-დარსალია სოფლის დაცემიდან კიდევ 55 დღის განმავლობაში დარჩა იქ, რადგან ავადმყოფ დედას ვერ ტოვებდა.

„მეზობლის ქალი გამოვარდა იმ დილით და კიოდა, წიოდა, შვილები იქით მხარეს ჰყავდა. ომი დაიწყო, მითხრა. ოთხშაბათს ღამით შემოგვიტიეს და კვირა დილით უკვე ააფრიალეს ეს ფაშისტური დროშები და *Победа! Победа!* ყვიროდნენ ცენტრში“.

ნუცა გიორბელიძემ თავდაპირველად დამალვა გადაწყვიტა. დედას ხან მანდარინების ძირს მალავდა, ხანაც უკან - თხილებში. როცა განვიმდა, დედას ცელოფნის პარკი გადააფარა.

„ინვოდა სოფელი და ისინი დარბოდნენ. შევიდოდნენ სახლებში, გაცლიდნენ იქაურობას, თუ რამე მოეწონებოდათ. ისროდნენ რაღაც ისეთს, რომ 2 წუთში 2-სართულიან სახლს თავში უვარდებოდა. და პაროლი ჰქონდათ რა? ძაღლების ყეფა, ტურების კივილი და, აი, ზღვის იხვი რომაა, ის რომ ხმას გამოსცემს, ასეთი ხმები ჰქონდათ“.

ამ გაქცევის მცდელობისას აღმოაჩინა, რომ მისი მეზობელი ცოლ-ქმარი ოკუპანტებს თავიანთ სახლშივე დაეცხრილათ.

მანდარინებში მალავდა დედას ტანია თოდუაც, რომელმაც დავრდომილი დედის გამო ასევე ვერ მოახერხა სოფლიდან გაქცევა. ის თავისი სახლის უკან 26 დღის განმავლობაში იმალებოდა ავადმყოფ დედასთან ერთად და დღიურს წერდა, რომელიც მისმა შვილმა, ირმა ჯაჭვლიანმა რამდენიმე დღის წინ წიგნად გამოსცა. დღიურში ქალი დეტალურად აღწერს შიშსა და სასოწარკვეთაში გატარებულ 26 დღე-ღამეს.

„ღამდამობით დავდივარ ეზოებში, ვპოულობ კვერცხებს, მოგვაქვს კვახი, ყურძენი... ფინხებით ცეცხლს ვანთებთ თხრილში, კვამლს იქით-აქეთ ვანიავებ, რომ ალი არ დაინახონ. ასე შიშის ქვეშ ვხარშავ კვერცხს, კვახს... წყალი ორ-სამ დღეში ერთხელ მოგვაქვს გონერის ჭიდან. მეორედ რომ მივედი, ჭიდან თოკი ახსნილი დამხვდა. შალვას ეზოში გადავედი, თოკი იქაც არ დამხვდა“ - წერს დღიურში ტანია თოდუა.

26-დღიანი მალვის შემდეგ მან, როგორც იქნა, მოახერხა და სხვა ქალების დახმარებით დედა ურიკით მიიყვანა დარსალიების სახლში. იქ მყოფი ქალები ოკუპანტების შიდა ტყვეებად ითვლებოდნენ და ამის ნიშნად თეთრი თავსაბურავები ეკეთათ.

„კი, ჩემივე სახლში ვიყავი ტყვე“ - მიდასტურებს ნუცა გიორბელიძე და იხსენებს, რომ თავდაპირველად მთელი ღამის განმავლობაში სახლს წრეებს ურტყამდა, შემთხვევით, რომ არავის დაებობა სახლი და ცოცხლად არ ამომწვარიყვნენ.

ოკუპანტების წინ დედას საუბარს უკრძალავდა და იტყუებოდა, რომ მას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, რადგან იმან რუსული არ იცოდა, ქართულად დალაპარაკება კი გარანტირებულად, ადგილზე დახვრეტას ნიშნავდა.

„ქართულ ენას *Собачий язык*-ს ეძახდნენ. უფლება არ გვქონდა, რომ ქართულად გველაპარაკა. რა ძაღლის ენაზე ყეფხარო, ასე გეტყოდნენ“.

თუმცა, ამ შიშის, დამცირებისა და ყველა სირთულის მიუხედავად, თვლის, რომ გაუმართლა იმათგან განსხვავებით, ვინც სოფელ ათარაში წაიყვანეს ტყვედ და არც სცდება.

„იმ ტყვეობაში ნამყოფი გოგონები და ქალები თავიანთ ჭკუაზე ვერ იყვნენ.“





ნუსა გიორბელიძე - დარსალია, დევნილი ახალდაბიდან

საშინელება, საშინელება. მაგას სიკვდილი სჯობდა. ღმერთმა ყველა დაიფაროს ამ საშინელებისგან. ახლაც მახსენდება ღამღამობით, როგორ გადავრჩი, როგორ შევინახე ჩემი თავი“.

5-დღიანი უიმედო ბრძოლის შემდეგ სოფელი კვირა საღამოს დაეცა და ოკუპანტები სოფელში შევიდნენ. მალევე მიაგნეს იმ თავშესაფარსაც, სადაც ვენერა მეშველიანი იმალებოდა.

„შემოვიდნენ და ფეხებთან მოგვაყარეს ტყვიები. დაგხოცავთ ყველას, ხმა არ ამოიღოთო, შეგვაშინეს და გვითხრეს, რომ გადიოდნენ, მაგრამ მალე დაბრუნდებოდნენ“.

სანამ ოკუპანტები გასულები იყვნენ, საგუშაგოებთან მობილიზებული კაცები სოფელში დაბრუნდნენ. ალექს ცალანმა მალევე მიაგნო ცოლ-შვილის კვალს და მათთან დასამშვიდობებლად მივიდა.

„არასდროს დამავინწყდება მისი ჩვენთან გამომშვიდობება. ირმას უთხრა, ჭკვიანი და ძლიერი გოგო ხარო. არ შეგეშინდესო. კაცი ერთხელ იბადება და ერთხელ კვდებაო“.

ცოლ-შვილთან გამოთხოვების შემდეგ ალექსანდრე ცალანმა სახლიდან გასვლა ვერ მოასწრო, ოკუპანტები და სეპარატისტები დაპირებისამებრ მალევე დაბრუნდნენ უკან. ვენერა მეშველიანი იხსენებს, რომ ისინი სახლში ყვირილით შევარდნენ და სიხარულისგან აჟიტირებულები იყვნენ.

„ალექსის გარდა კიდევ სამი კაცი იყო იქ. ერთი დაჭრილი 20 წლის ბიჭი. დედის გული ხომ იცით? დედამ არ გაუშვა, არ წახვიდო, უთხრა, ცოდო ხარო, დაჭრილი ფეხით სად უნდა იაროო. ორი პატარა შვილი ჰყავდა, თავისი მშობლების ერთადერთი ვაჟი იყო.

აბა, ამოდითო, გვიბრძანეს ყველას. ხელებანულები ამოგვიყვანეს სარდაფიდან. ეს ოთხი კაცი დააყენეს ჯაჭვიან ღობესთან და ჩვენ თითო-თითოდ, ბატებივით ჩამწკრივებულები გამოგვიყვანეს. სანამ იმ კიბეებს ამოვივლიდით, ავტომატის ჯერით დახვრიტეს ოთხივე კაცი“.

იქ იყო ვენერა მეშველიანის ქმარი, მისი ოთხი შვილის მამაც, მაგრამ როგორც გვიყვება, მაშინ ალექსზე დარდი ვერ მოახერხა, შეეცოდა, მაგრამ მისი ყველა ფიქრი შვილს ეხებოდა, 20 წლის ირმას, რომელიც ლამაზი ახალგაზრდა ქალი იყო და დედა ყველანაირად ცდილობდა, საკუთარი სხეულით გადაჰფარებოდა და დაემალა ის, იმათ რომ არ შეემჩნიათ და არ წაეყვანათ.

დაღამებამდე იმ სახლიდან არ გამოუყვანიათ ოკუპანტებს ტყვეები. გარეთ გამოსულებმა გვამებით სავსე ქუჩები იხილეს, ნაწილს თავი ჰქონდა მოჭრილი. ერთ ახალგაზრდა ბიჭს მოკვლის შემდეგ ზემოდან ტანკი გადაატარეს.

„გაბრტყელებული იყო მიწაზე. დედამისი ჩვენთან ერთად იყო, ჩვენთან ერთად ნახა. იკივლა, მაგრამ არ მიუშვეს იქამდე“.

სეპარატისტებმა თავდაპირველად არ იცოდნენ, სად წაეყვანათ ტყვეები და სხვადასხვა სახლში ატარებდნენ. ძაძიშვილების სახლში ცოლ-ქმრის გახრწნილი გვამი დახვდათ, მოკვეთილი თავებით. ვენერა მეშველიანის თქმით, თვითონვე შეძრწუნდნენ ამ სურათის ნახვით.

ქუჩაში ნახეს ნაჯახით დაჩეხილი ქალიც და დახვრეტილი ჟორა აკობიძის გვამიც. გიორგი-ჟორა აკობიძე ახალგაზრდა ოცმეთაური იყო, რომელსაც დახვრეტის შემდეგ თავი მოაჭრეს. მოგვიანებით ის ნუცა გიორბელიძემ და სხვა ქალებმა დამარხეს სოფლის დატოვებამდე.

„ჟორიკოს გადავაფარე ცელოფანი, ზენარი. ცოტა მიწა ჰქონდა მოტანილი ოთარ ხალიანს და ის დავაყარე, დავფარე, ასე ვთქვათ. სრულად არ გვეყო. შევედი ოთარის სახლში და ვტირი. ჩემს სახლში იყო გაზრდილი ჟორიკო. მოვიდა ერთი და დამცინა, ჩემი მიწა, ჩემი მიწას რომ იძახით, ხომ ხედავთ, თქვენნიანის დასამარხი მიწაც კი არ არის აქო“.

სოფელ ათარაში ტყვეობის დღეების გახსენებისას ვენერა მეშველიანს დიდი,



ცისფერი თვალები ცრემლებით ევსება. მხოლოდ ის ახარებს, რომ ნაცნობი აფხაზების ოქროთი მოქროთამვით მოახერხა და შვილი იქიდან გააპარა.

„იმ ღამით იქ საშინელება იყო. გოგოები მიჰყავდათ. ჩვენს აქ წამოყვანამდე ერთ-ერთ მეზობელს შვილიშვილი, ახალგაზრდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბიჭი დაუხვრიტეს თვალნი მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენი მეომრებისთვის საზღვარზე წყალი მიჰქონდა. იმ ღამით კი იმ ბიჭის 14 წლის დას დაადგეს თვალი და ისიც წაიყვანეს. ის გოგო აღარავის უნახავს იმ ღამის შემდეგ. ბებიამისი მთელი ღამე კიოდა“.

ათარის სკოლაში მყოფი ტყვეების რაოდენობა 300 ადამიანამდე აღწევდა. ისინი სხვადასხვა ოთახში გადაანაწილეს. კაცები ცალკე ჰყავდათ. იმ ერთი კვირის განმავლობაში ოკუპანტები და სეპარატისტები ყოველ ღამით მიდიოდნენ სკოლის შენობაში, მთვრალეები და ვინც მოეწონებოდათ, მიუხედავად მათი ასაკისა, ზედა სართულზე აჰყავდათ.

„9 წლის გოგონა იყო ერთი. რამდენი წლის ხარო, ჰკითხა. ცხრაო, უპასუხა ამ ბავშვმა. *А ну-ка можно-о*, უთხრა. ადექი და წამოდიო. დედამისი მოეხვია ამ ბავშვს და მე წამოვალო, უთხრა. ეს დავტოვოთ აქ და მე წამოვალო და დედა წავიდა. ასეთები ხდებოდა. თუ ერთი და უკვე წაყვანილი იყო, ისევ ის მიყვებოდა, მეორე და მაინც რომ გადაერჩინა.

ერთი ასეთი შემთხვევა იყო, ძუძუზე ჰყავდა ქალს ბავშვი და დაადგეს ამას თვალი. ასე უთხრა ერთმა, 10 წუთში გამოდი, თორემ ბავშვს მოგიკლავო. ჩემ გვერდით იწვა ეს ქალი და ტიროდა, ტიროდა, ტიროდა. ამ ქალს იქვე ჰყავდა მეგობარი და უთხრა, წადიო, ბავშვს მე დავიჭერო. წავიდა ეს ქალი, მაგრამ მერე მთელი ღამე იმის ცხარე ცრემლებით ტირილი ისმოდა“.

ტყვეებს არ ჰქონდათ არც სასმელი და არც საჭმელი, თუმცა, იმასთან, რაც იქ ხდებოდა, ეს მათთვის ბოლო პრობლემა იყო. ოკუპანტები მათ სცემდნენ და იატაკზე დანოლილებს ფეხებს აბიჯებდნენ.

საპირფარეშოში დღეში ორჯერ გაჰყავდათ - დილით და საღამოს. სწორედ ამ გასვლების დროს დერეფანში ხედავდნენ ტყვეებს სხვა ოთახიდან. ვენერა მეშველიანი ამბობს, რომ კაცები იმდენად იყვნენ ნაცემები, მათი ცნობა შეუძლებელი იყო.

„ერთი ქალი იჭდა ჩემთან ახლოს, მხოლოდ ერთი ადამიანი იყო ჩვენ შორის და რომ მიჰყავდათ მისი რძალი, ლამაზი ქალი, ხმამაღლა იკივლა, არ წაიყვანოთო. ეს როგორ გაგვიბედო და ადგილზე დაცხრილეს. მისი სისხლი ფეხებქვეშ მქონდა მთელი ღამე. დილამდე მისი გვამი იქ იყო. დილით კიდევ ორ მოკლულთან ერთად დამარხეს. ჩვენს კაცებს ამოათხრევინეს სკოლის უკან მიწა და სამივე ერთად დამარხეს“.

ერთმა ქალმა გონება დაკარგა, ენა ჩაუვარდა და ვერ ახერხებდნენ მის მოსულიერებას, მაგიდაზე დაასვენეს. წყალს ითხოვდნენ.

„რუსი ჯარისკაცი მოვიდა, ნაღდად რომ ვიცი, რუსი იყო, ავიდა ფანჯარაზე და დააშარდა სახეზე ზემოდან. აი, თქვენი წყალიო, აი, გამოაცოცხლეთ ახლაო“.

ამ ყოფაში იყვნენ ისინი მანამ, სანამ სოხუმი არ აიღეს. სოხუმის დაცემის შემდეგ მტერი დამშვიდებულია და რაღაც დროს ტყვეები თავად გადაიყვანეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

„რომ მოვყავდით, 80 ადამიანი ვიდექით ერთ ავტობუსში. განძრევის საშუალება არ იყო. ერთი კაცი მიყუდებული იყო კართან. ცუდად იყო. ოჩამჩირეში გააჩერეს ეს ავტობუსი, გააღეს კარები და რომ გადავარდა ეს კაცი და მისი თავი რომ დაეცა ასფალტზე, ახლაც ყურში მესმის იმ თავის ხმა. კვახი რომ დაახეთქო რამეს, ასე მოკვდა. მოკიდეს ამას ხელი, ჩატენეს ისევ ავტობუსში და წაიყვანეთ თქვენი მკვდარიო, არ დატოვეს იქ.“

გალის მთელ ტერიტორიაზე მიცვალებულები გზის პირზე ეყარნენ. შავი იყო ყველა, გაშავებული. მე მინახავს მკვდარი ცხენი, გასივებული და თავიდან მეგონა საქონელი თუ იყო ეს, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ადამიანები იყვნენ. მერე მივხვდი, რომ ხელები და ფეხები ჰქონდათ და ადამიანები იყვნენ, დაუმარხავად, გაგანია სიცხეში. გადაუარეს მთელ ქალაქს“.

ახალდაბიდან დევნილების მოყოლილი ისტორიები კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს იმას, რაც წესით, უკვე კარგად უნდა ვიცოდეთ - უკრაინაში მომხდარი საზარელი დანაშაულები ერთი ან რამდენიმე რუსი ჯარისკაცის „გადაცდომა“ კი არა, ბოროტების იმპერიის მოქმედების პროგრამაა. რუსული იმპერიალიზმისთვის ადამიანს თანაბრად არ გააჩნია ღირებულება ყველგან, საქართველოსა და უკრაინაში, თუ შინ.

რუსეთს ჩვენ, ადამიანები გამართლებულად ვთვლით მტრად. თუმცა, თავად რუსეთი მტრის ადამიანობას არ აღიარებს, მეტიც, მისი მიზანი არა მტრის დამარცხება, არამედ მისი ადამიანობის განადგურებაა. ამიტომაც, როდესაც რუსეთი შემოდის შენს სახლში, გართმევს ყველაფერს, ყველაზე ძვირფასიდან ყველაზე იაფფასიან ნივთამდე, მოგიკლავს ქმარს, გაგიუპატიურებს შვილს, ცეცხლს წაუკიდებს შენს ქონებას, შენს ნაწვალებსა და ნაგროვებს, დაგცინებს და მიწასთან გაგასწორებს.


მეორე მხარეს კი არის დასავლეთი, ცივილიზებული, თავისუფალი სამყარო ლიბერალური დემოკრატიით, სადაც ადამიანი უმთავრესი ღირებულებაა, ის საზოგადოებრივი წესრიგის მსაზღვრელია.

საქართველო ისევ დგას ტოტალურ ბოროტებასა და დასავლურ ცივილიზაციას შორის, ერთი შეხედვით, ცხადი არჩევანით. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებების მიერ ეს არჩევანი ჯერ კიდევ განუხორციელებლად რჩება. ტოტალიტარიზმის მთავარი მოკავშირე დავინწყებაა, იმ ბოროტების დავინწყება, რომელსაც ის სჩადის.

ჩვენ ვერ დავადანაშაულებთ ვერავის, რომ დაივინყეს ის, რაც რუსულმა იმპერიალიზმმა დაუშავა საქართველოს, როდესაც თავად არ გვახსოვს ახალდაბა, მეტიც, ბუჩაც კი ძლივს გვახსენებს მას.



**ბურჰაბა ნჱრ
ეფხეფეთი**



1993 წლის სექტემბერი

სოხუმის აეროპორტი

გიორგი

წიქარიშვილი



1993 წლის სექტემბერში სოხუმის აეროპორტი ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი წერტილი იყო, რადგან საქართველოს მთავრობის კონტროლირებად ტერიტორიასთან ერთადერთ მაკავშირებელ გზად რჩებოდა. აქედან გაჰყავდათ დაჭრილები და სამოქალაქო პირები. ფოტოზე ჩანს თვითმფრინავი სარეგისტრაციო ნომრით 85163, ის ავიალაინერი, რომელიც 22 სექტემბერს ჩამოაგდეს და 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

შახ აივაზოვის ფოტო.

**ბურბუღი იყო
კუხუხუტი**

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი იყო 1993 წლის სექტემბერი - დრო, როცა ქვეყნის ისტორია მელნის ნაცვლად სისხლით იწერებოდა. ეს თვე აფხაზეთის ომში გარდამტეხი პერიოდი აღმოჩნდა. სწორედ ამ პერიოდში, ტრაგიკული მოვლენები, მათ შორის რუსეთის მიერ მხარდაჭერილი აფხაზი სეპარატისტების მიერ სამგზავრო თვითმფრინავების აფეთქება, თანმიმდევრულად მოხდა.

მას შემდეგ, რაც სეპარატისტებმა 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმება 16 სექტემბერს დაარღვიეს, სოხუმის ბაბუშერას აეროპორტი, რომელიც შავი ზღვის სანაპიროსთან ახლოს მდებარეობს, მუდმივი იერიშების ქვეშ იყო. ტერიტორიას ზალპური ცეცხლის სისტემებით ბომბავდნენ, ხოლო ზღვაში პორტაბელური ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებით აღჭურვილი კატერები საჰაერო სივრცეს აკონტროლებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ აეროპორტი ასეთი საშიში ზონა იყო, ის ალყაში მოქცეული სოხუმისთვის საქართველოს მთავრობის კონტროლირებად ტერიტორიასთან ერთადერთ დამაკავშირებელ გზად რჩებოდა.

სეპარატისტული ძალების იერიშების შედეგად პირველი თვითმფრინავი 20 სექტემბერს განადგურდა. ეს იყო ტუპოლევ Ty-134A ტიპის ავიალაინერი, რომელიც Orbi Georgian Airways-ს ეკუთვნოდა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, რადგან თვითმფრინავი, რომელსაც საბრძოლო მასალა მოხვდა, აეროპორტიდან აფრენას არ აპირებდა და მხოლოდ ამ ტერიტორიაზე იყო გაჩერებული.

მოვლენები მომდევნო დღეებში უფრო ტრაგიკულად განვითარდა. სეპარატისტულმა ძალებმა 21 სექტემბერს კატერიდან მინა-ჰაერის ტიპის რაკეტა სტრელა-2-დან ესროლეს ტუპოლევ Ty-134A-3 ტიპის ავიალაინერს, რომელიც Transair Georgia-ს ეკუთვნოდა და ადღერის აეროპორტიდან (სოჭი) სოხუმის აეროპორტში მიფრინავდა. მას ცეცხლი მაშინ გაუხსნეს, როდესაც უკვე დანიშნულების ადგილს უახლოვდებოდა. თვითმფრინავი 300 მეტრის სიმაღლიდან შავ ზღვაში ჩავარდა. დაიღუპა ეკიპაჟის 5 წევრი და 22 მგზავრი - 27-ვე ადამიანი, ვინც ავიალაინერზე იმყოფებოდა. თვითმფრინავში უცხოელი ჟურნალისტები იმყოფებოდნენ.

აფხაზეთის ომი.
მებრძოლი იგლას ტიპის
პორტაბელური საბენიტო-
სარაკეტო კომპლექსით.
გადაღების თარიღი
უცნობია. აფხაზეთის ომში
ორივე მხარე იყენებდა
იგლასა და სტრელას ტიპის
ჰაერსაწინააღმდეგო
სისტემებს



“გუშინ სოხუმთან მიახლოებისას აფხაზთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ჩამოაგდეს სამგზავრო საერეისო თვითმფრინავი ტუ-134 (ხომალდის მეთაური ტაბუევი), რომელიც ასრულებდა რეისს სოჭი-სოხუმი (საბორტო ნომერი 65893, რეისის ნომერი 6942). თვითმფრინავი გამოფრინდა ადღერის აეროპორტიდან 16 საათზე და სულ 15 წუთის შემდეგ, როცა სოხუმის აეროპორტს მიუახლოვდა, აეროპორტიდან დაახლოებით 5 კილომეტრზე ზღვის მხრიდან, აფხაზთა სამხედრო კატარლიდან მას ესროლეს საჰაერო სითბური რაკეტა. თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. წინასწარი მონაცემებით, თვითმფრინავში იყო 21 მგზავრი და ექვსი ეკიპაჟის წევრი. ამ საათისთვის არსებული ინფორმაციით, ყველა დაიღუპა. ავიალაინერის მგზავრებს შორის იყვნენ საზღვარგარეთელი ჟურნალისტები”.

იუნყებოდა გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკის” 1993 წლის 22 სექტემბრის ნომერი.

“როდესაც გემბანთან მივედით, რათა ქალაქიდან გამოვსულიყავით, ეს ის მომენტი იყო, როდესაც თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა. ჩვენ იქ ვიყავით, ამ ყველაფერს ვხედავდით, ამ დროს შევარდნაძე მოვიდა ჩვენთან - ნუ გეშინიათო, ხალხი თქვენს დასახმარებლად მოდის, აფხაზეთი არ დაეცემაო. ეს ჩვენთვის იმედის ნაპერწკალივით იყო”.

იხსენებს ტაბულასთან ქალი, რომელმაც თვითმფრინავის ჩამოგდება საკუთარი თვალით იხილა.

თუმცა, თავად 22 სექტემბერი 1993 წლის კალენდარში სისხლით წინა დღეზე მკაფიოდ მოინიშნა. ამ დღეს მოხდა თავდასხმა, რომელსაც ომის მსვლელობის დროს ერთი იერიშით ყველაზე დიდი მსხვერპლი მოჰყვა. სეპარატისტულმა ძალებმა ამჯერად ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის რაკეტა ტუპოლევ Ty-154E-ს ტიპის ავიალაინერს ესროლეს. თვითმფრინავს თბილისიდან ათეულობით სამხედრო, ასევე მოხალისეები - სამედიცინო პერსონალი და სამოქალაქო პირები სოხუმში მიჰყავდა, რათა დაცემის პირას მყოფი ქალაქიდან ხალხს ევაკუაციაში დახმარებოდნენ. ამას გარდა, თვითმფრინავში იმყოფებოდა The Wall Street Journal-ის ჟურნალისტიც, ალექსანდრა ტატლი, რომელსაც რეგიონალურ დედაქალაქში მყოფ ედუარდ შევარდნაძესთან ინტერვიუს ჩაწერა სურდა. ის რეისის ერთ-ერთი მსხვერპლი გახდა.

**1993 წლის 22
სექტემბერს ჩამოგდებული
თვითმფრინავი**



**ბურჯაღუ იყო
აფხაზეთი**

“ალექსანდრა ტატლს სარაევოში ამ ზაფხულს შევხვდი. მხიარული ფრანკოფილი ამერიკელი, ფრანგულ პრესასთან ერთად მოგზაურობდა, ტანის დამცავი ჟილეტი მხრებზე ჰქონდა ჩამოშვებული და ყოველ დილა ჰოლიდი ინიდან ნაცნობი, საშიში რუტინისთვის გამოემართებოდა, რათა ფრონტის ხაზები და საავადმყოფოები გაეშუქებინა.

სიტყვაგულთბილი მახსენდება. ალექსანდრა the Wall Street Journal-ის თანამშრომელი იყო, რომლისთვისაც მან 70-ზე მეტი საუკეთესო ხარისხის ანალიტიკური ამბავი დაწერა. ერთ დამეს უაზრო დავა გვექონდა, როცა ის ამტკიცებდა, რომ ირანი “საუდის დემოკრატია” საფრთხეს უქმნიდა, მე კი ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ, ცოდვების მიუხედავად, ირანს პარლამენტი მაინც ჰქონდა, როცა საუდის არაბეთს, მთელი თავისი ფულის მიუხედავად - არა.

თუმცა ის იმდენად მაღალსულოვანი იყო, რომ ჩემი ინგლისური ცინიზმის კეთილად მიღება შეძლო. სურდა, სცოდნოდა ბეირუთში ჩემს საცხოვრებელზე, თუ რატომ ვფიქრობდი, რომ სპარსეთის ყურის ომი ტრაგედია იყო. ჩემი პასუხი იყო, რომ ყველა ომი ტრაგედიაა, რადგან ომი პირველ რიგში, სიკვდილთანაა დაკავშირებული - სრულიად დამეთანხმა. შემდეგ მე ჩრდილოეთ ბოსნიისკენ გავემართე, ის კი სახლში, პარიზში დაბრუნდა, სადაც ჰყავდა ძალი, სახელად ჯორჯი, რომელზეც მუდამ საუბრობდა.

გადარჩენილი - გავიფიქრე. ჩვენ, ჟურნალისტები ამ ჟამს ხალხს ასე ვუყურებთ. ალექსანდრა ტატლი გადარჩებოდა.

ასე რომ, როდესაც რამდენიმე კვირის წინ კაიროდან ბეირუთში გავფრინდი, ლიბანურ გაზეთებში ერთი პატარა აბზაცი, რომელიც წავიკითხე, რთულად დასაჯერებელი იყო. ალექსანდრა ტატლი მოკლეს სოხუმში, ცოცხლად დაიწვა სამხედრო თვითმფრინავში, რომელსაც მინა-ჰაერის რაკეტა გაართყეს.

დაუჯერებელია. გადარჩენილებს არ კლავენ. თუმცა სიმართლეა. მისმა ერთ-ერთმა ახლო მეგობარმა მითხრა, რომ ალექსანდა თბილისში 22 სექტემბერს რეისზე ავიდა, ნერვიულობდა, რადგან ედუარდ შევარდნაძესთან, რომელიც ჯერ კიდევ სოხუმში იყო, მეორე ინტერვიუ უნდა ჰქონოდა. რეისზე მყოფ გერმანელ ფოტოგრაფს ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა და აფრენამდე ჩამოვიდა. ალექსანდრას სთხოვდა იგივე გაეკეთებინა. მან უარი თქვა.

საკუთარი გეგმების შესახებ პრესა (WSJ) არც კი გაუფრთხილებია. ასე რომ, ხუთი დღე საფლავში იწვა, სოხუმის აეროპორტთან, სანამ მისი დამსაქმებლები და მერილენდში მცხოვრები მშობლები მიხვდებოდნენ, რომ ის დაკარგული იყო. თვითმფრინავი ორად გაიხლიჩა, როცა აფხაზების რაკეტა მოხვდა. წინ ყველა მოკვდა. ალექსანდრა კაბინაში იყო.

მაშინ აეროპორტი საარტილერიო ცეცხლის ქვეშ იყო, თუმცა ვიღაცამ მისი დაგლეჯილი აშშ-ს პასპორტი და მისი ძაღლის, ჯორჯის დაჭმუჭნული ფოტო იპოვა. გამარჯვებული აფხაზების ნებართვით, მისი ოჯახი და მეგობრები კვლავ იმედოვნებენ, რომ მის ნეშტს დაუბრუნებენ, თუ მის საფლავს იპოვიან”.

წერდა ალექსანდრა ტატლის სიკვდილზე the Independent-ის ბრიტანელი ჟურნალისტი, რობერტ ფისკი 1993 წლის 3 ნოემბერს.

ავიალაინერს კატერიდან ნასროლმა რაკეტამ ძრავა დაუზიანა. როგორც ჩანს, პილოტმა დაზიანებული თვითმფრინავის ასაფრენ ბილიკზე დაშვება რთულად შეძლო, თუმცა როდესაც ის მიწას შეეხო, ავიალაინერი აფეთქდა. რეისზე, ეკიპაჟის წევრების ჩათვლით, 132-მდე ადამიანი იმყოფებოდა. მათგან 108 დაიღუპა, დანარჩენებმა კი თვითმფრინავის გავარვარებული ნამტვრევებიდან თავის დაღწევა შეძლეს და გადარჩნენ.

“მე სამხედრო პოლიციელი ვიყავი. ავღანეთშიც ვმსახურობდი და პატარა გამოცდილების გამო ვიყავი სამხედრო პოლიციელი, როგორც ომგამოვლილი. ბიჭებს ჰქონდათ ჩემი იმედი, როცა მათთან ერთად ვიყავი. წავედი დაჭრილების ჩამოსაყვანად. ერთერთი ჩემი სოფლელი იყო. ოთხი კაცი გავფრინდით სამხედრო პოლიციიდან, გურჯაანიის ყოფილი სამხედრო პოლიციელები. წავედით, ეს ჩემი სოფლელი ჩამოვიყვანეთ სახლში თბილისიდან, რესპუბლიკურ საავადმყოფოში იწვა. იმან გვითხრა, იქ ბიჭები არიან დაჭრილები და ჩამოსაყვანები არიან, იმ ბიჭებს იქ წინილებივით ამოხოცავენო. მეთქი, ჩავალ, ჩავაკითხავ და ოთხი სამხედრო პოლიციელი გავფრინდით მათ დასახმარებლად. ასე მომიწია იმ თვითმფრინავში ჩაჯდომა, დაჯდომით კი, თვითმფრინავი ველარ დაჯდა.

ოთხიდან სამი გადავრჩით. ერთი დაგვეწვა თვითმფრინავში. სამი ერთად ვისხედით და მეოთხე ცალკე. ფანჯრისკენ ვინც იჯდა, ის ამოვათრიე და გადავარჩინე, მაგრამ უკან ვინც იჯდა, ის ჩარჩა შიგნით და დამეწვა. მეც მივიღე ყბის ძვლის მოტეხილობა. გონება დავკარგე და გონს გვიან მოვედი. უკვე სახანძრო იყო მოსული და წყალს ასხამდა თვითმფრინავს. ჩემს მალლა კვამლი გადიოდა, რაღაცა იყო ამოგლეჯილი, თვითმფრინავის წინა ბორბალი თავის მექანიზმით იყო მოგლეჯილი დაცემის დროს და ის სივრცე იყო ჩემთან მალლა და იქიდან გამოვძვერი. ამოვძვერი, ამხანაგმა დამინახა, რომ გავედი. გამომყვა ისიც, მაგრამ ის ვერ ამოდიოდა, 24-კილოიანი ბრონის ჟილეტი ეცვა და მივხეხარე, ძლივს ამოვათრიე თვითმფრინავის იატაკზე - ამოყირავებული იყო თვითმფრინავი. ნახევარი, წინა სალონი იყო დარჩენილი და ცალი ფრთა, მეორე ფრთა და უკანა ნაწილი კი მომძვრა, როცა მიწას შეეხო და იმის მერე 600 მეტრი ჰქონდა ნახოხიალები ასაფრენ ბილიკზე ამ ნახევარ თვითმფრინავს.

ერთი კიდევ ადგილობრივი ქალი იყო, ის ამოვიყვანე. ჩემი ამხანაგი რომ ამოვიყვანე, იმ ქალმაც იქვე ამოყო თავი და მიშველე, ამომიყვანეო. მერე ჰოსპიტალში ერთად ვინექით, ცოცხალი გადარჩა ისიც.

ჩემი დაღუპული ამხანაგიც ვიპოვე. ბედმა გამიღიმა, ცინკის კუბო ვიპოვე, 23-ში ვიპოვე და 24-ში უკვე ჩამოვასვენე თბილისის აეროპორტში. ასე ჩაიარა ამ ავბედითმა ფრენამ”.


იხსენებს ტაბულასთან ნუკრი ზირაქიშვილი, რომელიც 22 სექტემბრის ტრაგედიას გადაურჩა.



სეპარატისტებს აეროპორტზე იერიშები არც შემდეგ დღეებში შეუწყვეტიათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიიდან დევნილები ქალაქის დატოვებას ცდილობდნენ. 23 სექტემბერს, როდესაც სოხუმის აეროპორტს *EM-21* გრადის ტიპის ზალპური ცეცხლის სისტემით ბომბავდნენ, ერთი რაკეტა *Transair Georgia*-ს ტუპოლევ *Ty-134A*-ს მოხვდა. თვითმფრინავი ასაფრენად ემზადებოდა და ძრავას ახურებდა, პარალელურად მასზე მშვიდობიანი მოქალაქეები ადიოდნენ, როდესაც მასზე იერიში მიიტანეს. ავიალაინერზე 30 ადამიანი იმყოფებოდა, 24 მგზავრი და ეკიპაჟის 6 წევრი. მშვიდობიანი მოქალაქეების დაზიანებული თვითმფრინავიდან ევაკუაცია ეკიპაჟმა შეძლო, თუმცა 6-დან 1 წევრი დაიღუპა. დაზიანდა *Orbi Georgian Airways*-ის ტუპოლევ *Ty-154E-2*-იც, თუმცა ამ შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

არ აქვს მნიშვნელობა თუ ვინ გაისროლა რაკეტა, აფხაზმა სეპარატისტმა, ჩრდილოეთ კავკასიელმა მოქირავნებმა, რუსმა კაზაკმა თუ სხვამ. აშკარაა, ამ თავდასხმებზე, ისევე, როგორც სეპარატისტული ძალების მხრიდან ჩადენილ ნებისმიერ ომის დანაშაულზე, პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება, რადგან სწორედ ისინი ამარაგებდნენ აფხაზების მხარეს იარაღითა და დაზვერვის ინფორმაციით, ასევე სამხედრო ხელმძღვანელებით. სეპარატისტები მხარდაჭერასთან დაკავშირებით, რუსული ნარატივი იყო ის, რომ თუ რომელიმე რუსი სამხედრო მათ ეხმარებოდა, ესენი იყვნენ აფხაზეთში მდებარე რუსულ ბაზებზე მყოფი კორუმპირებული სამხედროები. თუმცა, რა თქმა უნდა, მოსკოვში სამხედრო ელიტას კარგად უნდა სცოდნოდა ბრძოლის ველზე რაც ხდებოდა. დამთხვევა არც ის ყოფილა, რომ აფხაზეთში გადაისროლეს ჯგუფები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ მოსკოვთან და აქამდე მძიმე ბრძოლების გამოცდილება დნესტრისპირეთის ომში 1992 წელს მიიღეს.

1993 წლის
23 სექტემბერს
განადგურებული ტუპოლევ
Ty-134A, სარეგისტრაციო
ნომრით
СССР-65001.





რუსული Cy-25 სოხუმის თავზე.
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწყვეტი აფხაზი სეპარატისტების ლიდერ ვლადისლავ არძინბასთან რუსი ჟურნალისტის, ანდრეი კარაულოვის ინტერვიუდან:

- თვითმფრინავებიც ქართველებს მოჰარეთ?
- რატომ? თვითმფრინავები შევიძინეთ.
- რუსეთისგან?
- თვითმფრინავები შევიძინეთ იქ, სადაც ამის გაკეთება შესაძლებელია.
- ეს სამხედრო საიდუმლოა?
- რა თქმა უნდა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მასალიდან ჩანს, რომ რუსი სამხედროები თვითმფრინავების ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებით მიზანში ამოღებაში გარკვეულ შემთხვევებში თავადაც მონაწილეობდნენ. ამისი დასტურია რუსულ სამხედრო ჟურნალ *Солдат удачи*-ს მე-12 ნომერში გამოქვეყნებული ანგარიშები, რომლებიც ეკუთვნოდა აფხაზეთში მოქმედ რუს ოფიცერს, იური პიმენოვს. ის უძღვებოდა დანაყოფს, რომელსაც ერქვა “დელფინი”. როგორც რუსი ჟურნალისტი, ევგენი ნორინი წერს, თავდაპირველად “დელფინი” ექვემდებარებოდა მოლდოვის სეპარატისტული რეგიონის, დნესტრისპირეთის სპეცდანიშნულების ბატალიონ “დნესტრს”, რომელიც მონაწილეობდა ტირასპოლისა და დუბესარის მძიმე ბრძოლებში. მართალია პიმენოვი იმ დროს რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ოფიციალურად არ ირიცხებოდა, თუმცა ცხადია, რომ ასეთი პირები მსგავს კონფლიქტებში დამოუკიდებელ აქტორებს არ წარმოადგენენ. ამას გარდა, პიმენოვი, როგორც აფხაზეთში გადაღებულ ვიდეოჩანაწერში ამბობდა, ნოვოსიბირსკიდან იყო.



პიმენოვი 1993 წლის 27 ივნისის ანგარიშში წერდა: “ვიტყობინები, რომ 25.06.93 წელს კაპიტნების, პიმენოვისა და ბუტკოს ჯგუფმა, ფრონტის ხაზის დაბვერვის “ღამურის” ჯგუფთან ერთად, 18:10-ზე აძიუბუას დასახლების რაიონში საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალების დრანდის დასახლების სამხედრო აეროდრომზე დასაშვებად შემავალი Ty-134-ის მიმართულებით გაშვებულ იქნა სითბური რაკეტა “იგლა”. გაშვება შესრულდა მონინააღმდეგის ტერიტორიიდან. რაკეტა თვითმფრინავის მარჯვენა ძრავას მოხვდა. გაჩნდა ხანძარი. თვითმფრინავმა შეძლო დაშვება, თუმცა შეკეთებას არ ექვემდებარება. საქართველოს საჰაერო ძალების საკუთრებას მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა.

შემდეგ, 21:00-ზე ჯგუფი კოდორის ხიდთან გავიდა, მისი აფეთქების მოსამზადებლად, თუმცა ახალდაბის დასახლებასთან მონინააღმდეგის ჩასაფრებაში მოჰყვა. 15-30 მეტრის დაშორებით ორივე მხარემ ცეცხლი გახსნა. ჩვენი დანაკარგია - 1 დაჭრილი. მონინააღმდეგის დასახმარებლად ტრანსპორტებით დამატებითი ძალები მოვიდა და ცეცხლი გაიხსნა ფრონტიდანაც და მარჯვენა ფლანგიდანაც. ჯგუფმა უსაფრთხოდ დაიხია უკან და მტრის ზურგში 15-16 კმ.-ს გავლით, თან წაიყვანა დაჭრილი და მივიდა აფხაზური ათარის დასახლების დროებით ბაზაზე”.

სხვადასხვა წყაროს ცნობით, პიმენოვი 1994 წელს რუსეთში დაბრუნდა და მუშაობა დასავლეთ ციმბირის შინაგან საქმეთა დეპარტამენტში დაიწყო. სანამ პენსიაზე გავიდოდა, მან ვიცე-პოლკოვნიკის (პოდპოლკოვნიკის) წოდებაც მიიღო.

რუსეთის სამხედრო უწყების მიერ აფხაზი სეპარატისტების დახმარების სიცხადის მიუხედავად, მათი თავდაცვის მაღალჩინოსნები ცინიკურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ. მაგალითად, თბილისის ბრალდებას, რომ რუსულ თვითმფრინავებს სოხუმზე იერიშები მიჰქონდათ, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, პავლე გრაჩევმა უპასუხა, რომ ქართველებმა მოიერიშე-ბომბდამშენები თავად გადაღებეს და საკუთარი კონტროლირებადი ტერიტორია დაბომბეს. წლების შემდეგ, ეს რუსეთის დეზინფორმაციის სახელმძღვანელოს კლასიკურ ბრალდებად იქცა.

მარჯვნივ კიდეში –
იური პიმენოვი;
აფხაზეთი





**ბერძენი იყო
კვინაშვილი**



ბედნიერება ყოფილა,
ზოგადად, საფლავის ქონა,

იმიტომ, რომ ჩვენ

ეს გვქონდა ოცნებად,
გვინდოდა, რომ
დედის

საფლავი გვქონოდა, სადაც

მივითანდით ყვავილებს.

მაგრამ ეს მერე იყო, ნების მერე.

იქამდე კი ვოცნებობდით,

რომ დაბრუნდებოდა

ყველა უკრაინელ ქალში დაღუპულ დედაჩემს ვხედავ

კიდევ ერთი ისტორია აფხაზეთიდან

„ს აშინელებაა, ალბათ, ამის თქმა, მაგრამ ბედნიერება ყოფილა, ზოგადად, საფლავის ქონა, იმიტომ, რომ ჩვენ ეს გვექონდა ოცნებად, გვინდოდა, რომ დედის საფლავი გვექონოდა, სადაც მივიტანდით ყვავილებს. მაგრამ ეს მერე იყო, წლების მერე. იქამდე კი ვოცნებობდით, რომ დაბრუნდებოდა“

საქართველოს უახლესი ისტორია და განსაკუთრებით ის წელიწად-ნახევარი, როდესაც ქვეყანა აფხაზეთისთვის იბრძოდა, ბევრ სისხლიან თარიღს ითვლის. თუმცა, 1993 წლის 22 სექტემბერი მაინც გამორჩეულია თავისი ტრაგიკულობითა და მასშტაბით - დღე, როდესაც ბაბუშერას აეროპორტში ჩამოგდებულ თვითმფრინავში 108 ადამიანი ცოცხლად დაინვა.

წლები გავიდა, სანამ ყველა დაღუპულის ცხედარი ჯერ ამოიცინეს და შემდეგ ოჯახს გადასცეს, იქამდე კი საერთო სასაფლაოზე მათ ცხედრებს მხოლოდ ნომრები ჰქონდა მინიჭებული.

ამ წლების განმავლობაში დაღუპულთა დიდი ნაწილი ახლობლებისთვის უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებოდა, მათ ეძებდნენ და ყოველდღე ელოდნენ, როდის დაბრუნდებოდნენ შინ.

სწორედ ამ უსასრულო მოლოდინსა და მუდმივ გაურკვევლობაზე ტაბულას ნაირა ლეზგიანი ესაუბრა, სტრასბურგში მცხოვრები 35 წლის ქალი, რომელმაც ბაბუშერას აეროპორტში თვითმფრინავის აფეთქებისას დედა დაკარგა.

მარინა ტაბატაძეს, რომელიც მედდა იყო და დაჭრილ ჯარისკაცებს უვლიდა, სოხუმში ორი წლის შვილი ელოდა.

„ომი როცა დაიწყო, 5 წლის ვიყავი, მაგრამ მახსოვს, რომ როდესაც თვითმფრინავების ხმა გვესმოდა, ხან მაგიდის ქვეშ ვიმალებოდით, ხან საწოლის, ხანაც მეზობლის სარდაფში. სამხედრო თვითმფრინავები განსაკუთრებულად ხმაურიანია, არასდროს დამავიწყდება, ალბათ, ის ხმა“.

ნაირა ლეზგიანი ჰყვება, რომ თავდაპირველად სოხუმში ყველას ეგონა, რომ სიტუაცია დაწყნარდებოდა და ომი დიდხანს არ გაგრძელდებოდა, მაგრამ როდესაც





კონფლიქტი გამწვავდა, ბებიის დაუინებელი მოთხოვნით, მათ სოხუმი დატოვეს.

„წამოვედით მე, ჩემი სამი და, დედა და ბებია. მამა იქ დარჩა. შეიძლება, ითქვას, რომ სხვა დევნილებისგან განსხვავებით, გაგვიმართლა, იმიტომ, რომ ჩვენ არ წამოვსულვართ სვანეთის გზით“.

ოჯახი თბილისში პატარა სამხედრო თვითმფრინავით გადმოფრინდა, რომლითაც, ძირითადად, დაჭრილი სამხედროები გადმოჰყავდათ. მათ „კუკურუნიკებს“ ეძახდნენ. თვითმფრინავის კართან დიდი რიგი იდგა, ქაოსი იყო და არავინ დაეძებდა იმას, რომ მარინა ტაბატაძეს ბილეთები ჰქონდა ნაყიდი, რომელსაც მაღლა აფრიალებდა.

„მახსოვს, ერთი მოხუცი კაცი ეჩხუბა დედას, ქალბატონო, პატარა ბავშვები გყავთ, რა დროს ბილეთებიანო და ასე ვთქვათ, ძალით შეგვყარა თვითმფრინავში“ - ამბობს ნაირა ლეზგიანი - „რა თქმა უნდა, მაშინ ვერ აღვიქვამდი ამ ყველაფერს, არც მეშინოდა. ახლა რომ მახსენდება, სხვანაირად განვიცდი“.

ვიწრო თვითმფრინავში გაცილებით მეტი ადამიანი ავიდა, ვიდრე იქ ადგილები იყო განკუთვნილი. ნაირა ლეზგიანი იხსენებს, რომ მათ სავარძლებთან ახლოს იყო რაღაც, რომელსაც დიდი თეთრი ნაჭერი ჰქონდა გადაფარებული, ზემოდან კი წითელი ბურთი ედო. მშობლები წითელი „ბურთის“ დანახვისას შეცბნენ, რამაც ბავშვების ცნობისმოყვარეობა გააასმაგა.

მხოლოდ წლების შემდეგ მიხვდნენ, რომ იქ მოკლული ჯარისკაცი იწვა, ზემოდან კი წითელ ნაჭერში გახვეული მოჭრილი თავი იდო.

ჯარისკაცებისთვის, და არამხოლოდ, მოჭრილი თავები აფხაზეთის ომში ოკუპანტების მთავარ ხელწერად იქცა.

„არ მახედებდნენ იქითკენ“ - იხსენებს ნაირა ლეზგიანი - „დედა მეხვწებოდა, რომ გამეხედა ფანჯრიდან. ნახე, იქ მამაშენიაო. რა თქმა უნდა, მამას იქიდან ვერ დავინახავდი, მაგრამ ეს ფანჯარა და ჩამავალი მზის სხივით გავარდისფერებული ღრუბლები განსაკუთრებულად ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. როცა დაძაბული ვარ ან რთულ სიტუაციას უნდა გავუმკლავდე, სულ დედას ხმა მახსენდება - გაიხედე ფანჯრიდან და ვხედავ ვარდისფერ ღრუბლებს.

იმ ფანჯრებიდან ვეძებდი მამას.

ასე გადმოვედით ჩვენ“.

მერე დაიწყო ე.წ ცრუ მშვიდობის პერიოდი, როდესაც ომი მცირე ხნით შეწყდა. ითქვა, რომ საომარ მოქმედებებს ორივე მხარე აჩერებდა. თუმცა, რუსეთს არც ამჯერად უღალატია საკუთარი სტილისთვის და 16 სექტემბერს შეტევა განაახლა.

იქამდე კი მარინა ტაბატაძემ სოხუმში დაბრუნება გადაწყვიტა. ფიქრობდა, რომ მათი სახლი სოხუმში დამტვერილი იქნებოდა ამდენი აფეთქებებისგან და სანამ შვილებს თან წაიყვანდა, ჯერ მარტო წავიდა სახლის დასალაგებლად. თან მხოლოდ ნაბოლარა, 2 წლის შვილი წაიყვანა, რომელიც დედის გარეშე ვერ ძლებდა.

ტექნიკური და ლოჯისტიკური პრობლემების მოგვარების შემდეგ მარინა ტაბატაძემ 2 წლის შვილი მამასთან დატოვა, თავად კი შვილებისა და დედის წამოსაყვანად თბილისში დაბრუნდა.

ამ დროს ომი განახლდა. ქმარი და 2 წლის შვილი სოხუმში გაიჭედნენ.

„დედა ყოველდღიურად მიდიოდა აეროპორტში, რომ იქნებ ვინმესგან ბილეთი აეღო, როგორღაც გაფრენილიყო და ბავშვი წამოეყვანა. მაგრამ იმ პერიოდში ვინ უყურებდა ბილეთებს, ძალიან გართულებული იყო ყველაფერი“.

ერთ დღესაც მარინა ტაბატაძე სახლში აღარ დაბრუნდა. ოჯახი მიხვდა, რომ სავარაუდოდ, მან გაფრენა მოახერხა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ბორტზე ასვლა ექთნის სტატუსით მოახერხა.

ეს 22 სექტემბერს მოხდა.

თბილისის აეროპორტიდან აფრენილ თვითმფრინავს რუსებისგან ზურგგამაგრებულმა სეპარატისტებმა რაკეტიდან ესროლეს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის რაკეტები. ერთ-ერთმა რაკეტამ თვითმფრინავს ძრავა დაუზიანა.

ავიალაინერი ტუპოლევ Ty-154B სოხუმის აეროპორტში ავარიულად დაეშვა და მიწასთან შეხებისთანავე აფეთქდა.





ოჯახმა მხოლოდ 2015 წელს გაიგო, რომ მარინა ტაბატაძე იმ თვითმფრინავში იჯდა, როდესაც წითელი ჯვრის ეგიდით ცხედრების იდენტიფიცირება და გადმოსვენება მოხერხდა.

„გავიგეთ, რომ დედა იყო იქ, იმ თვითმფრინავში და რომ საერთო სამარხში, სადაც იდენტობის ვერდადგენის გამო ცხედრები ნომრებით იყო მონიშნული, ის იყო N74“.

გასვენებაში ნაირა ლეზგიანთან და მის დებთან უცნობი ქალი მივიდა და დედის ნაცვლად, მათ გადაუხადა მადლობა. აღმოჩნდა, რომ წლების წინ მარინა ტაბატაძემ ის გადაარჩინა.

„გვითხრა, სიცოცხლე მაჩუქა და მას ვერ გადავუხადე და მის შვილებს მაინც გადაგიხდით მადლობასო. მანვე გვითხრა, რომ დედას თურმე, აფხაზი ჯარისკაცი გადაურჩენია და ის უვლიდა, როგორც ქართველ ჯარისკაცებს.

ჩემს დას ახსოვს, რომ ერთხელ, ჯერ კიდევ სოხუმში ყოფნისას დედა შინ სულ სისხლიანი ტანსაცმლით დაბრუნდა, რომელიც კარშივე გაიხადა, მერე იატაკზე დავარდა და დიდხანს იტირაო. მამა აწყნარებდა, თურმე. დედა ქვითინებდა და ამბობდა, რომ არ იცოდა, ამდენ მსხვერპლს რამდენ ხანს გაუძლებდა“.

ძმათა სასაფლაოზე დაკრძალულ მარინა ტაბატაძესა და მის ქმარს ნაირა ლეზგიანის ბებია წლების განმავლობაში ეძებდა. სწორედ ამიტომ, ლეზგიანების ფოტოალბომში დედის ფოტოები პრაქტიკულად არ იძებნება. ბებია წლიდან წლამდე დადიოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, არიგებდა შვილის ფოტოებს და ითხოვდა, თუ სადმე დაინახავდნენ, მისთვის შეეტყობინებინათ.



ბებიას, რომელმაც 4 შვილიშვილი საკუთარი შვილებივით მარტომ უცხო ქალაქში გაზარდა, ახლა დემენცია აქვს. ნაირა და მისი დები თვლიან, რომ ალცჰაიმერის ნიშნები მას სწორედ 2015 წელს, შვილის გადმოსვენების შემდეგ დაეწყო.

„როგორც კი დედა გადმოსვენეს, თითქოს მოეშვა. ვალდებულებებიც აღარ ჰქონდა ჩვენთან, ჩვენ გაზრდილები ვიყავით უკვე და ჩვენი გზები ნაპოვნი გვექონდა. დედას გადმოსვენება მისთვის შოკი იყო. მთლიანად ოჯახისთვის იყო შოკი“.

ნაირა ლეზგიანის უკიდურესად გულახდილმა საუბარმა მომცა გამბედაობა, მისთვის ის კითხვა დამესვა, რომელიც საუბრის დაწყებიდანვე მანუხებდა. მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დედაზე ინფორმაციის მოპოვებას ცდილობდნენ, ერთხელ მაინც თუ დაუშვია, რომ შესაძლოა, იქ, იმ თვითმფრინავში დედამისი იჯდა, რაზეც მან მიპასუხა, რომ ეს მისი ცხოვრების მთავარი კითხვაა.

„ძალიან დიდხანს, 2015 წელს რომ გადმოსვენეს, მაშინაც კი მექონდა ის შეგრძნება, რომ არა, ეს დედაჩემი არ არის. თურმე, იმაშიც უნდა გაგიმართლოს ადამიანს, რომ ახლობელს რომ დაკარგავ, ან ფაქტს შეესწრო, ან შენ თვალწინ დაასაფლავონ. საშინელებაა, ალბათ, ამის თქმა მაგრამ ბედნიერება ყოფილა, ზოგადად, საფლავის ქონა, იმიტომ, რომ ჩვენ ეს გვექონდა ოცნებად, გვინდოდა, რომ დედის საფლავი გვექონოდა, სადაც მივიტანდით ყვავილებს.

მაგრამ ეს მერე იყო, წლების მერე. იქამდე კი ვოცნებობდით, რომ დაბრუნდებოდა. ჩემს პატარა დას დედა არ ახსოვს, მაგრამ ითხოვდა დედას და ბებიაჩემი წლების განმავლობაში იგონებდა ისტორიებს. ეტაპობრივად ეს ამბები იცვლებოდა, ვხვეწდით ჩვენც. ვეუბნებოდით, რომ დედამ ფეხი მოიტეხა და რომ მოურჩება, ჩამოვა. ისიც იზრდებოდა ნელ-ნელა და კითხულობდა, კი, მაგრამ, ფეხი არ მოურჩა? როდის დაბრუნდება? მერე ახალი ამბავი გვექონდა, რომ იქ მდინარე და ხიდი ჩაინგრა და ამ ხიდს რომ ააშენებენ, დაბრუნდება და ამასობაში ჩემი დაც გაიზარდა და უკვე მიხვდა, რომ დედა აღარ დაბრუნდებოდა, მაგრამ ჩვენ ძალიან დიდხანს ვფიქრობდით, რომ იქნებ... სულ ვფიქრობდით, რომ იქნებ, ოდესღაც მოხდეს ისე, რომ აი, კარი გაიღოს და შემოვიდეს. იქნებ, დაიჭრა. იქნებ, ამნეზია აქვს და არ იცის, ვინ არის, სად არის. ძალიან დიდხანს მექონდა იმის ოცნება, რომ იქნებ, მოვახერხო, მე ჩავიდე და მე სხვანაირად მოვძებნი. ასეთი ოცნებები და ფიქრები 2015 წლამდე სულ გვექონდა. 2015-ში ეს მძიმე, არეული, კითხვებით სავსე ეტაპი თითქოს დასრულდა“ - ამბობს ნაირა ლეზგიანი და

**ბურბუღი იყო
კვხაჭხთი**

მცირეხნიანი პაუზის შემდეგ ამატებს - „თუმცა, ალბათ, ვერასდროს გადაფურცლავ ამ გვერდს. ღია ქრილობად რჩება“.

მოგვიანებით ოჯახმა ისიც გაარკვია, რომ აფეთქებისას მამა აეროპორტთან ახლოს იყო, რადგან იცოდა, რომ მისი ცოლი სოხუმში დაბრუნებას ცდილობდა და თავისი თვალით დაინახა, როგორ აფეთქდა თვითმფრინავი, რომელშიც მისი ცოლი იჯდა, თუმცა, ამის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდა.

ომის გამწვავებასთან ერთად 2 წლის ბავშვის სოხუმში დატოვების რისკის მოსალოდნელი შედეგები ყოველ წუთს უფრო საშიში ხდებოდა. ამიტომ, მამამ გადაწყვიტა, რომ ცოლს აღარ დალოდებოდა და ბავშვი მოსკოვში ცოლის დასთან ჩაეყვანა.

2 წლის გოგო, რომელსაც ენა ახალადგმული ჰქონდა, მამამ პატარა ზომის ზურგჩანთით გადაიყვანა.

„ჩასვა პატარა ზურგჩანთაში, დაუტოვა მცირე თავისუფალი ადგილი, რომ ესუნთქა და კანფეტები ჩაუყარა იმ პირობით, რომ მთელი გზა ხმას არ ამოიღებდა. ჩემს დას ახალდაწყებული ჰქონდა საუბარი, ამიტომ, ლაპარაკობდა მხოლოდ ქართულად. მამამ იცოდა, რომ თუკი ბავშვი ქართულად დაილაპარაკებდა, მას მოკლავდნენ“.

ბავშვის დატოვების შემდეგ რაფიკ ლეზგიანი მაშინვე დაბრუნდა სოხუმში, რომ ცოლს დახვედროდა.


მისი კვალი აქ ქრება.

ასე დაკარგეს დებმა ერთ ომში ორი მშობელი. ეს ლეზგიანების ოჯახის ისტორიაა - ერთ-ერთი იმ ბევრი ტრაგედიიდან, რომელიც აფხაზეთის ომმა მოუტანა საქართველოს.

ჩვენს მეზობელ ქვეყანაში მიმდინარე ომი აფხაზეთიდან დევნილებს კიდევ ერთხელ ახსენებს არც ისე კარგად მოშუშებულ იარებს, ახსენებს, როგორია სარდაფში დამალვა, როცა შენს ქალაქში აფეთქებების ხმა ისმის, ახსენებს შიშსა და სასოწარკვეთას.

„ყველა ახალგაზრდა უკრაინელ ქალში ვხედავ დედას. ყველა პატარა ბავშვში კი საკუთარ თავსა და ჩემს დებს“ - მეუბნება ნაირა ლეზგიანი და ინტერვიუ დასასრულისკენ მიდის - „რაც ეს ომი დაიწყო, ცუდი სიზმარით დამიბრუნდა ყველა მოგონება. აბსოლუტურად ყველაფერი ისე ხდება, როგორც ხდებოდა აფხაზეთში“.





ბურჰაბრა ნჷმ
ეფხეფეფთი